ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №65

ქ. ბათუმი

04 ოქტომბერი, 2018 წელი

ერთის მხრივ, ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯუმბერ კობალაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ივიჯი" წარმოდგენილი დირექტორის ედნარ გელაძის სახით„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისათვის" ქსელური მოწყობილობების მიწოდება (CPV32400000 - ქსელები; CPV- 32420000 - ქსელური მოწყობილობები; CPV32421000 - ქსელის კაბელები; CPV32413100 - ქსელის მარშრუტიზატორები; CPV32422000 - ქსელის კომპონენტები) შემდეგში შესყიდვის ობიექტი, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ;

2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

2.1 მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების თანხა, ანგარიშსწორების წესი

3.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1246,00 (ერთიათასორასორმოცდაექვსი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების თანხა ითვალისწინებს როგორც საქონლის შესყიდვასთან/გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.3. დაფინანსების წყარო -ადგილობრივი ბიუჯეტი.

3.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებასა და კონტროლს ახორციელებს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს" სამეურნეო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ხუხუნი და საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი გიორგი ყენია.**

4.2. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ახორციელებს საქონლის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლის მქონე საქონელი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.3. თუ მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას 4.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამასთან, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების

4.4. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

6.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

7.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

7.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

7.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა.ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, 6.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.2. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და

კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 20 ნოემბერი.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ ს/კ 445531130	შპს „ივიჯი“ ს/კ 245439271
იურ.მის.:ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. №2 ელ. ფოსტა servisebissaagento@gmail.com	მის: საქართველო, ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №66 ტელ: 27 17 49
სახელმწიფო ხაზინა ბ/კ: TRESGE22 ანგ. №GE24NB0330100200165022	საბანკო რეკვიზიტები: პროკრედიტბანკი ბანკისკოდი MIBGGE22 ანგარიში GE17PC0033600100022868
დირექტორი: ჯუმბერ კობალაძე ----------	**დირექტორი: ედნარ გელაძე** ----------

ფასების ცხრილი

№	დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	Gembird t-wc-03 3-in-1 modular crimping tool, RJ45 (ჯეკი)	ცალი	2	20,00	40,00
2	RJ-45 8P8C Modular Plug Screened Cat.5 (ჯეკი)	ცალი	200	0.45	90.00
3	Kingda KD-CT009 Tester With RJ45/RJ12/RJ11 (ტესტერი)	ცალი	1	46,00	46,00
4	ITD FTP Car 5E cable 24 AWG Outdoor 40%Cu (ქსელის კაბელი)	მეტრი	1000	0,55	550,00
5	Tenda S108 8-Port 10/100 Mbps Fast Ethermet Switch (სვიჩი)	ცალი	20	26.00	520.00
	სულ ჯამი:				1246.00

ბ.ა

ბ.ა

ინფორმაცია ინტერესთა
კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 04 ოქტომბერი, 2018 წ.

ვადასტურებთ, რომ ქსელური მოწყობილობების მიწოდება (CPV32400000 - ქსელები; CPV-32420000 - ქსელური მოწყობილობები; CPV32421000 - ქსელის კაბელები; CPV32413100 - ქსელის მარშრუტიზატორები; CPV32422000 - ქსელის კომპონენტები) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს"
დირექტორი: ჯუმბერ კობალაძე

ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს"
სამეუნეო განყოფილების უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი: თამაზ ხუხუნი

საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის
განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის
განყოფილების უფროსი: გიორგი ყენია